საქართველოს საოლქმბჭოს ტფილისი ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

კანონთა და განკარგულებათა კრებული

ამიერკავკასიის სოციალისტური ფედერატიული საბჭოთა რესპუბლიკის მუშათა და ვლეხთა მთავრობისა.

1927 წლის თებერვლის 16	№ 3. განყოფილება პირველი	ა/კ. ცენტ. აღმას. კომიტ. საკანონმდებლო კომისიასთან არსებული კანონთა გამოქვეყნების განყოფილების მიერ გამოცემ.

შინაარსი:

მუხ. 28. ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მიერ საბჭოთა არჩევნების თაობაზე გამოცემული ინსტრუქციის მე-13 მუხლის „ბ“ და „გ“ პუნქტის განმარტების შესახებ.

„ 29. ცემენტის უკიდურესი საგასაცემო ფასების შესახებ.

„ 30. ამიერკავკასიის მრეწველობის ცალკე დარგებისათვის მოზარდთა რიცხვის მინიმალური პროცენტის დაწესების შესახებ.

„ 31. ფასების შემამცირებელი საუწყებათაშორისო კომისიების შესახებ.

„ 32. ა/კ. ცენტრ. აღმასრ. კომიტეტის მიერ ადგილობრივ საჭიროებათა დაკმაყოფილების სფეროში გლეხთა-მოსახლეობის ფულებების თაობაზე 1926 წლის აგვისტოს 9-ს თარიღით გამოცემული დადგენილების რედაქციის შეცვლის შესახებ.

„ 33. ა/კ. ცენტრ. აღმასრ. კომიტეტის მიერ ამიერკავკასიის რკინის გზებზე კატასტროფებთან ბრძოლის განსაკუთრებულ ღონისძიებათა თაობაზე გამოცემული დადგენილების დამატების შესახებ.

„ 34. ა/კსფსრ ტერიტორიაზე ელექტრონის მრიცხველთა შემოწმებისა და დადაღვის შესახებ.

„ 35. ამიერკავკასიის რკინისგზებზე ტვირთის გადაზიდვის მოწესრიგების შესახებ (ა/კ. სახალხო კომისართა საბჭოს ცირკულიარი).

„ 36. ამიერკავკასიის დამზღვევ ორგანოთა ფინანსიური მოქმედების მოსაწესრიგებლად საჭირო ღონისძიებათა შესახებ.

„ 37. ადგილობრივი წარმოების საანის უკიდურესი საგასაცემო საბითუმო და ცალმბითი ფასების შესახებ.

„ 38. რკინისგზის მუშა-მოსამსახურეთათვის მოწყობილ პუნქტებზე საწვევამდედო და ჯარგარეშე მომზადების ხარჯების შესახებ.

„ 39. მარტის 8-ს ქალთა სამუშაო დღის ხანგრძლივობის შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა.

28. ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მიერ საბჭოთა არჩევნების თაობაზე გამოცემული ინსტრუქციის მე-13 მუხლის „ბ„ და „გ“ პუნქ. განმარტების შესახებ.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

1. ამიერკავკასიის ცაკის მიერ საბჭოთა არჩევნების შესახებ გამოცემული ინსტრუქციის მე-13 მუხლის „ბ“ პუნქტის განსაკუთარებლად განმარტებულ იქნეს რომ, პურეულისა, ბალახისა, ბამბისა და სხვა ტეხნიკურ კულტურათა მოსავლის აღებისათვის, და აგრეთვე მასთან დაკავშირებულ სამუშაოთათვის, განსაკუთრებული პირობების გამო (არახელსაყრელი ატმოსფერული პირობებისა და სხვ.), შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს დროებით დაქირავებული მუშის შრომა დღეში ორ კაცზე მეტი რაოდენობით, ხოლო იმ ანგარიშით, რომ საერთოდ დაქირავებული შრომის გამოყენება მთელი სეზონის განმავლობაში 100 სამუშაო დღეს არ აღემატებოდეს.

2. განმარტებულ იქნეს, რომ:

ა) იმ შინამრეწველთა და ხელოსანთა მიერ (ა/კ. ცაკის მიერ საბჭოთა არჩევნების შესახებ გამოცემული ინსტრუქციის მე-13 მუხ. „გ“ პ.), რომელნიც შრომითი მეურნეობას ეწევიან, ორი მოწაფის შრომის გამოყენება, და.

ბ) იმ შინამრეწველთა და ხელოსანთა მიერ (ა/კ. ცაკის მიერ საბჭოთა არჩევნების შესახებ გამოცემული ინსტრუქციის მე-13 მუხ. „გ“ პ.), რომელნიც შრომითი მეურნეობას ეწევიან,—ორ შეგირდს გარდა, კიდევ ორი უპატრონო შეგირდის ყოლა, რომელნიც მათ ხელისუფლების სათანადო ორგანოებმა შეგირდად გადასცეს, ხოლო იმ ანგარიშით, რომ შეგირდთა საერთო რიცხვი ოთხს არ აღემატებოდეს,—არ შეიძლება ჩაითვალოს ამ შინამრწველთა და ხელოსანთათვის საარჩევნო უფლების ჩამორთმევის საბაბად.

3. განმარტებულ ისქნეს, რომ წარმოებითი პირობებად იგულისხმება მხოლოდ ისეთი ტეხნიკური პირობები, როდესაც თვით ხელობის სახე მოითხოვს დაქირავებული მომუშავის გამოყენების აუცილებლობას (მაგალითად, მესანგე მეედელისათვის.

ამიერკავკასიის ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

ამიერკავკასიის ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ა. შავერდოვი.**

ტფილისი—სასახლე. 1927 წ. იანვრის 31.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა.“ს 1393 №-ში 1927 წ. თებერვლის 2-ს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 3118 ა/პ. ს. ფ. ს. რ. შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატისა.

29. ცემენტის უკიდურესი საგასაცემო ფასების შესახებ.

(მოწესრიგების სამმართველო)

1927 წლის იანვრის 31.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მიერ ა/კსფსრ შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატს დროებითი დებულების შესახებ 1924 წ. ივნისის 26-ის თარიღით გამოცემული დადგენილების მე-3 მუხლის „გ“ პუნქ. საფუძველზე და სსრ კავშირის შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატის 1926 წ. მაისის 6-სა და 1926 წ. აგვისტოს 20-ის დადგენილებათა განსავითარებლად ა/კსფსრ შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატი ადგენს:

§ 1. ნოვოროსიის ცემენტის ვაჭრობის სამმართველოს „პროლეტარი-“სა, „პერვომაისკი-“სა, „ოქტიაბრი-“სა და „პობედა ოქტიაბრი-“ს ქარხნების პორტ-ლანდცემენტი გაიცემა ქარხნის სამმართველოს, ტრესტის გამგეობისა და მისი სავაჭრო განყოფილების მიერ:

1. ფრანკო-ნოვოროსიისკის ქარხნის საწყობი 4 მან. 70 კაპ. 163,8 კილოგრამიანი ბოჭკა ბრუტტო ნეტტოდ;

2) ფრანკო-ვაგონი ნოვოროსიისკი 4 მან. 95 კაპ. 163, 8 კილ. ბოჭკა ბრუტტო-ნეტტოდ;

3) ფრანკო-ბარჟა ან გემი ნოვორასიისკში 5 მან. 50 კაპ. 163, 8 კილ ბოჭკა ბრუტტო. ნეტტოდ.

§ 2. დაწესებულ იქნეს შემდეგი საგასაცემო ფასი ვაგონში დატვირთვით:

1) ჩრდილო-კავკასიის სავაჭრო სამმართველოსათვის ფრანკო-ვაგონი ფოთი 7 მან. 50 კაპ., ფრანკო-ვაგონი ბათომი—7 მან. 60 კაპ.

2) სხვა კოოპერატიული და სახელმწიფო ორგანიზაციისათვის—ფრანკო-ვაგონი ფოთი—7 მან. 60 კაპ., ფრანკო-ვაგონი ბათომი—7 მან. 70 კაპ.

§ 3. პორტლანდის ცემენტის საბითუმო საგასაცემო ფასი ფრანკო-საწყობი სადგურზე ქ. ტფილისში დაწესებულ იქნეს:

1) ჩრდილო-კავკასიის ვაჭრობის სამმართველოსათვის—10 მან. 40 კ. ბოჭკა.

2) სხვა კოოპერატიული და სახელმწიფო ორგანიზაციისათვის—10 მან. 60 კაპ. ბოჭკა.

§ 4. ცემენტის საგასაცემო ფასი, როდესაც იგი ნახევარ-ბითუმად სახელმწიფო და კოოპერატიულ ორგანიზაციას ეძლევა, დაწესებულ იქნეს ფრანკო საწყობი სადგურზე ქ. ტფილისში—10 მან. 66 კაპ. ბოჭკა.

§ 5. საგასაცემო ფასი სახელმწიფო და კოოპერატიული ორგანიზაციისათვის, როდესაც ცემენტი ტფილისის ქალაქის საწყობიდან გაიცემა, დაწესებულ იქნეს:

ეროვნული ბიბლიოთეკა

		საბითუმო. ნახევარ-საბითუმო
ჩრდილო-კავკ. ვაჭრობის სამმართველოსთვის	10 მან. 65 კაპ.	—
სახელმწიფო და კოოპ. ორგანიზაციისათვის	10 მან. 85 კაპ.	10 მან. 91 კაპ.

§ 6. პორტლანდის ცემენტის საგასაცემო ფასი სახელმწიფო და კოოპერატიული ორგანიზაციისათვის, როდესაც ეს ცემენტი ქ. ტფილისში ცალობით გაიცემა, დაწესებულ იქნეს 12 მან. 40 კაპ. ბოჭკა ბრუტტო ნეტტოდ.

§ 7. ა/კსფსრ შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულთა სამმართველოებს აზერბაიჯანის სოც. საბჭ. რესპუბლიკაში და სომხეთის სოც. საბჭ. რესპუბლიკაში წინადადება ეძლევათ დააწესონ ცემენტის ფასი სადგურისა და ქალაქის საწყობიდან გაცემისათვის და აგრეთვე ბითუმად, ნახევარ-ბითუმად და ცალობით გაცემისათვის—ფოთიდან ფრახტის ფაქტიური ღირებულების დარიცხვით.

§ 8. ცემენტის საბითუმო გაყიდვად ჩაითვალოს ერთი ვაგონი ცემენტისა და მეტის გაყიდვა, ნახევარ-საბითუმო გაყიდვად—11 ბოჭკისა 99 ბოჭკამდე და ცალობითი გაყიდვად—10 ბოჭკისა და ამაზე ნაკლებისა.

§ 9. დებულება ესე ძალაში შედის დღიდან მისი დადგენილებისა.

§ 10. შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიტის რწმუნებულთა სამმართველოებს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალ ცალკე რესპუბლიკებში დაეკვალებათ მეთვალყურეობა გაუწიონ ამა დადგენილების სისწორით შესრულებას.

§ 11. ამა დადგენილების დარღვევისათვის დამნაშავე პასუხს აგებს სათანადო რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის თანახმად, როგორც შინა-ვაჭრობის წესების დარღვევისათვის.

ა/კ. შინა-ვაჭრობის სახალხო კომისრის მაგეერ—**ათაბეკოვი.**

მოწესრიგების სამმართველოს უფროსი—**ნოვიკოვი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა.“ს 1393 №-ში 1927 წ. თებერვლის 2-ს.

დადგენილება № 5 ამიერკავკასიის შრომის სახალხო კომისარიატისა

30. ამიერკავკასიის მრეწველობის ცალკე დარგებისათვის მოზარდთა რიცხვის მინიმალური პროცენტის დაწესების შესახებ.

1927 წ. იანვრის 21.

ა/კ. სახალხო კომისართა საბჭოს მიერ ა/კსფსრ მრეწველობის ცალკე დარგებისათვის მოზარდთა რიცხვის მინიმალური პროცენტის დაწესების შესახებ 1927 წ. იანვრის 18-ს გამოცემული დადგენილების საფუძველზე ა/კ. შრომის ხალხო კომისარიატი ადგენს:

1. დაწესებულ იქნეს ა/კსფსრ მრეწველობის ცალკე დარგებისათვის მოზარდთა რიცხვის შემდეგი მინიმალური პროცენტი:

ეროვნული ბიბლიოთეკა

სოფლის მეურნეობა (მრეწვ.)

1) მებოსტნეობა, მემინდვრეობა, მებაღეობა და მევენახეობა 10%
2) მეფუტკრეობა, მეაბრეშუმეობა, მეფრინველეობა, მესაქონლეობა და სარძეო მეურნეობა . . . . . 10 „
3) განვითარებული კულტურები:
   ა) ჩაის კულტურა . . . . . 15 „
   ბ) მებამბეობა და სატყეო მეურნეობა . . . . . 5 „
   გ) მეთამბაქოობა . . . . . 5 „
   დ) სელის წარმოება . . . . . 5 „
4) მეთევზეობა . . . . . 5 „

ამოღებითი მრეწველობა

5) ნავთის ამოღება 6%
6) ქვანახშირის ამოღება . . . . . 6 „
7) რკინისა, სპილენძისა, შავიქვისა და სხვ. მადნის ამოღება . . . 6 „
8) მარილის ამოღება . . . . . 6 „

გადამუშავებითი მრეწველობა

მეტალის გადამუშავება.

9) მეტალურგია (თუჯის წარმოება, სპილენძის საგლინავი ქარხანა, სპილენძის სადნობი ქარხანა, და სხვ. ქარხნები) 6%
10) მანქანების წარმოება (სასოფლო-სამეურნეო მანქანების დამმზადებელი ქარხანა, ელექტრო მექანიკური ქარხანა და სხვ.) . . . 7 „
11. მეტალის ნაკეთობის საფაბრიკო წარმოება (წარმოება ლურსმნისა, ბარისა, ცელისა, სარემონტო მექანიკური სახელოსნოსი, დამზადება ნალისა, ბორბლისა და სხვ.) . . . . . 8 „

ხის დამუშავება.

12) ხე-ტყის სახერხი და ხის დამმუშავებული ქარხანა და ხის გახერხვა 6%
13) ფანერის ქარხანა . . . . . 7 „
14) ავეჯეულობისა, საბონდარო, პარკეტისა და ხის სხვა ნაკეთობის საფაბრიკო წარმოება . . . . . 8 „
15) ხის ნაკეთობის დამმზადებელი სახელოსნო . . . . . 8 „

ბამბის დამუშავება.

16) ბამბის საწმენდი, სართავი, საფეიქრო და სხვა წარმოება . . . 8%

მატყლის დამუშავება.

17) მატყლის სარეცხი, სათექე, სართავი, საფეიქრო და სხვ. წარმოება 9%

ეროვნული ბიბლიოთეკა

აბრეშუმის დამუშავება.

18) აბრეშუმის სახვევი, საგრეხი, საფეიქრო და სხვ. წარმოება . . 8%

ნარევ ბოჭკოვან ნივთიერებათა დამუშავება.

19) ბაფთისა, წინდისა და ჩხირებით ქსოვის (ტრიკოტაჟური) წარმოება 8%

ჭრა-კერვის წარმოება.

20) მზა-ტანსამოსის წარმოება, სამკერვალო სახელოსნოები, თეთრეულის სამკერვალო, შინაწარმოებისა, შლიაპისა და სხვ. 7%

მინერალური ნივთიერების დამუშავება.

21) მინის წარმოება (მინისა, ბოთლისა და მინის, სხვ. ნაკეთობათა დამზადება) 12%
22) ცემენტისა, კირისა, აგურისა, კრამიტისა, ცეცხლ-მძლე აგურისა, ალებასტრისა, სიპისა და მუყაოს წარმოება . . . . . 5 „
23) ფაიფურისა, ქაშანურისა და ჭურჭლის წარმოება . . . . . 5 „

ქაღალდის მრეწველობა.

24) ქაღალდისა, კარტონისა და მათი ნაკეთობის წარმოება 6%

საკვებ ნივთიერებათა დამუშავება.

25 საფქვავი, პურის საცხობი, საგალეტო და მაკარონ-ვერმიშელის წარმოება 5%
26) საკანდიტრო სახელოსნო, სახამებელ-სამადაგო წარმოება . . . 6 „
27) ძეღვინეობა, კონიაკ-არაყისა, ხილეულ-მინერალური წარმოება და საცივადო საქმის წარმოება . . . . . 8 „
28) ძეხვისა, ზეთის სახდელი და ყველის წარმოება . . . . . 5 „
39) ხორცისა, თევზისა, ხილეულობისა და ბოსტნეულის კონსერვების წარმოება . . . . . 7 „
30) თამბაქოს ნაკეთობის წარმოება . . . . . 6 „

ცხოველთა პროდუქტების დამუშავება.

31) ტყავის წარმოება (მსხვილი და წვრილი ტყავის დამმზადებელი ქარხნები) 3%
32) ბეწვეულის წარმოება . . . . . 5 „
33) მექანიკური წარმოება სასარაჯო-საუნაგირე და საფეხსაცმლო . 5 „
34) საფეხსაცმლო-საუნაგირე სახელოსნოები . . . . . 10 „
35) ჯაგრანისა, ჯაგრისა და ნაწლავის წარმოება . . . . . 5 „
36) სპენისა, წებოს, პარფიუმერიისა და ქონის სადნობი წარმოება . 5 „

ელექტრონის ენერგიის წარმოება.

37) ელექტრონის სადგურები 8%

ეროვნული ბიბლიოთეკა

პოლიგრაფიული მრეწველობა

38) სტამბა, ლიტოგრაფია, საკინძავი სახელოსნო და სხვ. 10%

ტრანსპორტი.

39) ავტო-ტრანსპორტი 7%
40) საბარგულე-სატრანსპორტო სახელოსნოები . . . . . 7 „
41) ტვირთის ექსპედიცია, საბაჟო და სასაქონლო ნავეურეელი . . 8 „

წყლის ტრანსპორტი.

42) ნავეურეელი და მდინარის სანაოსნო საწარმო 5%
43) ნავეურეელი, სარემონტო სახელოსნო . . . . . 7 „

საზოგადოებრივი კეთილმოწყობა.

44) საწყალსადენო და საკანალიზაციო მუშაობა, გათბობა:
ა) სახელოსნოს პირობებში 12%
ბ) მუდმივ პირობებში . . . . . 12 „
45) ელეკტრო-სამონტაჟო მუშაობა, გარდა სახაზო მუშაობისა . . 15 „
46) ტრამვაისა, წყალსადენისა და კანალიზაციის სახელოსნოში მუშაობა, აგრეთვე გარეგანი განათების სარემონტო განყოფილებაში მუშაობა 8 „
47) ორანეერეა, სანერგე და პარკი . . . . . 6 „
48) ბეკდვითი საქმის საწარმო . . . . . 5 „
49) სავაჭრო, სამეურნეო და კოოპერატიული საწარმო . . . . . 3 „
50) სააღმშენებლო საქმის ყოვილგვარი სამუშაო . . . . . 8 „

2. მოზარდთა რიცხვის აღნიშნული მინიმალური პროცენტი ა/კსფსრ მრეწველობის ცალკე დარგებში სავალდებულოა მრეწველობის ზემოჩამოთვლილი დარგებისათვის; რიცხვი მოზარდთა,—16-დან 17 წლამდე და შრომის ინსპექციის ნებართვით 14-დან 15 წლამდე (ამ ასაკის ჩათვლით),—არ შეიძლება ამ მინიმალურ პროცენტზე ნაკლები იყოს სათანადო საწარმოში თუ დაწესებულებაში მომუშავეთა საერთო რიცხვთან შედარებით.

3. ამა დადგენილებაში აღნიშნული მოზარდთა რიცხვის მინიმალური პროცენტი სავალდებულოა როგორც სახელმწიფო, ისე კოოპერატიული, საზოგადოებრივი და კერძო დაწესებულებისა და საწარმოსათვის.

4. ყველა საწარმო და დაწესებულება, სადაც მოზარდთა რიცხვი ამა დადგენილებაში აღნიშნულ სათანადო პროცენტზე ნაკლებია, ვალდებულია 2 თვის განმავლობაში დღიდან ამა დადგენილების გამოქვეყნებისა მოზარდთა რიცხვი დაწესებულ მინიმალურ პროცენტამდე გაადიდოს.

5. ის დაწესებულება და საწარმო, სადაც ამა დადგენილების გამოქვეყნების დღისათვის მოზარდთა რიცხვი მეტი იქნება, ვიდრე ამ დადგენილებაშია გათვალისწინებული, ვალდებულია დატოვოს სამუშაოზე მოზარდთა არსებული რიცხვი, ვიდრე მათ 18 წელი შეუსრულდებოდეთ.

6. მოზარდთა რიცხვის მინიმალურ პროცენტს მრეწველობის იმ დარგისთვის, რომელიც ამა დადგენილებაში გათვალისწინებული არ არის, დაუწესებს ა/კ. შრომის სახალხო კომისარიატი ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი სათანა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დო რესპუბლიკის შრომის სახალხო კომისარიატისა და პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს წარდგენით, რისთვისაც შეუთანხმდება ა/კ. პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს.

7. ამა დადგენილების გამოცემასთან ერთად ძალას ჰკარგავს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოების ყველა დადგენილება, რაც მოზარდთა რიცხვის მინიმალური პროცენტის დაწესების საკითხს შეეხება.

ა/კ. შრომის სახალხო კომისარი **იაშვილი**.

ა/კ. პროფკავშირთა საბჭო—**იაკუბოვი**.

სრულიად საკავშირო ახ. ლენ. კომ.

კავშირის ა/კ. საოლქო კომიტეტი—**რახმანოვი**.

ა/კ. შრომის სახალხო კომისარიატის

შრომის ბაზრის განყოფილების გამგე **გრიგორიანი**.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 1395 №-ში 1927 წ. თებერვლის 4-ს

დადგენილება № 5 ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

31. ფასების შემამცირებელი საუწყებათაშორისო კომისიების შესახებ.

ცალობითი ფასების შემამცირებელი საუწყებათაშორისო კომისიების შესახებ სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს მიერ 1926 წ. ნოემბრის 23-ს თარიღით გამოცემული დადგენილების საფუძველზე (სსრკ კან. კრ. 1926 წ. № 74, მუხ. 583) ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. ა/კსფსრ შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატთან მოეწყოს ცალობითი ფასების შემამცირებელი საუწყებათაშორისო კომისია.

2. აღნიშნული კომისიის მიზანს შეადგენს გააერთიანოს ა/კსფსრ შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატის ხელმძღვანელობით ა/კსფსრ უწყებათა, სამომხმარებლო კოოპერაციისა და სახელმწიფო ვაჭრობის სამმართველოს მუშაობა ცალობითი ფასების შემცირების სფეროში.

3. კომისიის შედგენილობაში შედიან: თავმჯდომარედ—ა/კსფსრ შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარი, ხოლო წევრებად შემდეგ დაწესებულებათა წარმომადგენელნი: სამი ა/კსფსრ შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატიდან, სამი სამომხმარებლო კოოპერატივების ამიერკავკასიის კავშირიდან, ერთი ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატიდან, ერთი ამიერკავკასიის პროფესიონალურ კავშირთა საბჭოდან, თითო-თითთ ა/კსფს რესპუბლიკაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოებიდან, ერთი ა/კსფსრ მ/გ ინსპექციის სახალხო კომისარიატიდან და ერთიც სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის ამიერ-

ტ ფ ი ლ ი ს ი
საჯარო ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

კავკასიის კონტორისაგან; კომისიის წევრებს დაამტკიცებს ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო.

4. ა/კსფსრ შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულთა სამართველოებთან აზერბაიჯანისა, სომხეთისა და საქართველოს რესპუბლიკებში მოეწყობა ცალობითი ფასების შემამცირებელი საუწყებათაშორისო კომისიები ა/კსფსრ შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატთან მოწყობილი საუწყებათაშორისო კომისიის შედგენილობის ანალოგიური შედგენილობით.

ამ საუწყებათაშორისო კომისიების წევრებს დაამტკიცებს სათანადო რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო.

5. რესპუბლიკანური კომისია თავისი მოქმედებისათვის იხელმძღვანელებს ამიერკავკასიის კომისიის დირექტივებს.

6. ხელმძღვანელობა და ზედამხედველობა ცალობითი ფასების დასაკლებად შემუშავებულ ღონისძიებათა განხორციელებისათვის დაეკისრება ა/კსფსრ შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატს.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველი **სოკოლოვსკი.**

ტფილისი — სასახლე. 1927 წ. იანვრის 27.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 1396 №-ში 1927 წ. თებერვლის 5-ს

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა.

32. ამიერკავკასიის ცაკის მიერ ადგილობრივ საჭიროებათა დაკმაყოფილების სფეროში გლეხთა მოსახლეობის უფლებების თაობაზე 1926 წ. აგვისტოს 9-ის თარიღით გამოცემული დადგენილების რედაქციის შეცვლის შესახებ.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მიერ ადგილობრივ საჭიროებათა დაკმაყოფილების სფეროში გლეხთა მოსახლეობის უფლებების შესახებ 1926 წ. აგვისტოს 9-ის თარიღით გამოცემული დადგენილების (ა/კსფსრ კან. კრ. 1926 წ. № 9, მუხ. 702) შესაცვლელად, აღნიშნული დადგენილება მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

ადგილობრივ საჭიროებათა დაკმაყოფილების სფეროში გლეხთა მოსახლეობის საზოგადოებრივი თვითმოქმედებისათვის ხელისშეწყობის მიზნით ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

ეროვნული
ბიბლიოთეკა

1. ნება მიეცეს სოფლის მასშტაბის რაიონისა, სოფლებისა ან უბნების ჯგუფისა და დაირა-თემის მოქალაქეთა საერთო კრებას—ყრილობას გამოიტანოს დადგენილება:

ა) ადგილობრივი კეთილმოწყობისა და კულტურულ-სამეურნეო ცხოვრების ცალკე საჭიროებათა თავისი სახსარით დაკმაყოფილების შესახებ გზებისა და სკოლების აღმშენებლობისა, წყალის მიწოდებისა და სამკურნალო პუნქტების მშენებლობის სფეროში.

შენიშვნა. უფლება მაეცეს ა/კსფს რესპუბლიკის შედგენილობაში შემავალ რესპუბლიკების ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს შეავსონ ადგილობრივი პირობების მიხედვით ამა „ა“ პუნქტში ჩამოთვლილი საჭიროებანი ადგილობრივი კეთილმოწყობისა და კულტურულ-სამეურნეო ცხოვრების სხვა საჭიროებითაც, ხოლო ყოველ ცალკე შემთხვევაში საამისო ნებართვა უნდა მიიღონ ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისაგან.

ბ) დასახულ ღონისძიებათა განსახორციელებლად საჭირო სახსარის რაოდენობისა, მისი ფულადი თუ ნატურალური სახისა და ნატურალური სახსარის ფულზე გადატანის საფუძვლის შესახებ; ამასთანავე ყველა სახსარის რაოდენობა ერთად, რაც ამა დადგენილების წესისამებრ ყოველი პუნქტის ფარგალში ერთ წელიწადს შეიკრიბება, არ უნდა აღემატებოდეს სასოფლო-სამეურნეო გადასახადის იმ კონტინგენტს, რაც სათანადო პუნქტზე ამა თუ იმ წელიწადს მოდის;

გ) აღმასრულებელ და სარევიზიო ორგანოთა შესახებ.

2. თვითდაბეგვრის გამოსაღების განაწილება დაეკისრება სოფლის საბჭოს (თანაბრად—თეიღმასკომს) დასაბეგრ მეურნეობათა შემოსავლიანობის აუცილებელი აღნუხხვით და დაბეგვრის პროგრესიული პრინციპის დაცვით.

3. მოქალაქეთა საერთო კრებას—ყრილობას მოიწვევს სოფლის საბჭო, სათანადო შემთხვევაში საუბნო, სადაირო და სათემო აღმასკომი, როგორც თვით მოქალაქეთა თაოსნობით, ისე თავის ინიციატივით; კრება კანონიერად ჩაითვლება, თუ მას დაესწრო სათანადო პუნქტის ამომრჩეველთა საერთო რიცხვის არა ნაკლებ $^2/_3$-ისა.

4. საერთო კრება დადგენილებას გამოიტანს დამსწრეთა ხმის მარტივი უმეტესობით და იგი სავალდებულოა სათანადო პუნქტის ყველა მოქალაქისათვის.

5. მოქალაქეთა საერთო კრების—ყრილობის დადგენილება საბოლოოდ ჩაითვლება და უდავო წესით სისრულეში მოიყვანება მხოლოდ მას შემდეგ, რაც მას, საუბნო, სადაირო და სათემო აღმასკომის წარდგენით, დაამტკიცებს სამაზრო აღმასკომი, კუთვნილებისამებრ.

6. საერთო კრების დადგენილების თანახმად შეკრეფილი სახსარი დაიხარჯება მხოლოდ იმ მიზნისათვის, რაც აღნიშნულ დადგენილებაშია გათვალისწინებული.

7. იმ შემთხვევაში, უკეთუ რაიმე მიზეზის გამო შეუძლებელია დასახული სამუშაოს შესრულება, მოქალაქეთა საერთო კრებას უფლება ეძლევა გამოიტანოს დადგენილება ან შეკრეფილი სახსრის უკანვე დაბრუნების შესახებ, კუთვნილებისამებრ, ან ამ თანხებისათვის სხვა დანიშნულების მიცემის შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

8. სოფლის საბჭო (სათ. შემთხვ.—თემაღმასკომი) ისევე, როგორც მოქალაქეთა საერთო კრების ყრილობის მიერ არჩეული ორგანო (ამა დადგენილების 1 მუხ. „გ“ პ.), ანგარიშ-ვალდებულია მოქალაქეთა საერთო კრებისა და აგრეთვე მაზრის აღმასკომის წინაშე; ამასთანავე ეს საერთო კრება შეიძლება მოწვეულ იქნეს როგორც სოფლის საბჭოს და საუბნო, სადაირო და სათემო აღმასკომების თაოსნობით, ისე მოქალაქეთა ინიციატივითაც მუშაობის დამთავრების შემდეგ და ამ მუშაობის წარმოების დროსაც—საჭიროების მიხედვით.

9. ამ დადგენილების 1 მუხ. „ბ“ პ. აღნიშნული კომისიის მუშაობისათვის საერთო ხელმძღვანელობის გაწევა და აგრეთვე მეთვალყურეობა იმისათვის, რათა სახსარი მიზანშეწონილად და მოქალაქეთა საერთო კრების დადგენილების თანახმად იხარჯებოდეს, დაეკისრება საუბნო სადაირო და სათემო აღმასკომს, კუთვნილებისამებრ.

10. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ-ში შემავალ რესპუბლიკების ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს ორი კვიროის განმავლობაში ამა დადგენილების გამოქვეყნების დღიდან გამოსცენ იხსტრუქცია, რაც უზრუნველჰყოფს ამა დადგენილების სისწორით და მიზანშეწონილად შესრულებას, და აგრეთვე გააუქმონ მათ მიერ ამ საკანზე წინად გამოცემული ყველა დადგენილება.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი **ა. შავერდოვი**

ტფილისი—სასახლე. 1927 წ. იანვრის 31.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 1398 №-ში 1927 წ. თებერვლის 8-ს.

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს.

33. ა/კ. ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ „ამიერკავკასიის რკინის გზებზე კატასტროფებთან ბრძოლის განსაკუთრებულ ღონისძიებათა თაობაზე“ 1926 წ. მარტის 15-ის თარიღით გამოცემული დადგენილების დამატების შესახებ.

იღებენ რა მხედველობაში ამიერკავკასიის რკინის გზების ექსპლოატაციის განსაკუთრებულ პირობებს, ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო, მათ მიერ „ამიერკავკასიის რკინის გზებზე კატასტროფებთან ბრძოლის განსაკუთრებულ ღონისძიებათა შესახებ 1926 წ. მარტის 15-ის თარიღით გამოცემული დადგენილების (ა/კსფსრ კან. და განკ. კრ., 1926 წ. მე-3 №-რი, მუხ. 608) დასამატებლად, იდგენენ:

ეროვნული ბიბლიოთეკა

1. გავრცელებულ იქნეს ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ „ამიერკავკასიის რკინის გზებზე კატასტროფებთან ბრძოლის განსაკუთრებულ ღონისძიებათა შესახებ“ 1926 წ. მარტის 15-ის თარიღით გამოცემული დადგენილების მოქმედება რკინის გზაზე მომხდარ ისეთ შემთხვევაზედაც, რასაც არ გამოუწვევია მოძრავი შედგენილობისა და ხაზის დაზიანება ან და რკინის გზაზე მომუშავეთა ან სხვა პირის დაშავება, მხოლოდ შემთხვევითი გარემოების ან თავის დროზე მიღებულ ღონისძიებათა გამო.

2. დროებითი ღონისძიების სახით, უფლება მიეცეს რკინის გზის ადმინისტრაციას (სსრ კავშირის გზათა სახალხო კომისარიატის რწმუნებულს ა/კსფსრ-ში და ამიერკავკასიის რკინის გზების გამგეობის თავმჯდომარეს) დაადოს დამნაშავეს გადასახდელი ამა დადგენილების 1 ლ მუხ. აღნიშნული კატასტროფებისა და სხვა შემთხვევის შესახებ აღძრული საქმის გამო, უკეთუ საგზაო კომისიის მიერ გამოტანილი იქნება სათანადო გადაწყვეტილება ერთხმად ან ხმის უმეტესობით. საგზაო კომისიის იმ წევრებს, რომელნიც არ დაეთანხმებიან ამ გადაწყვეტილებას, უფლება ეძლევათ საკითხი გადაიტანონ ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატის სათანადო ორგანოში, რომლის გადაწყვეტილებაც საბოლოოა. გადაწყვეტილების განსაჩივრება ვერ შეაჩერებს მის სისრულეში მოყვანას.

3. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ სახალხო შრომის კომისარიატს შესცვალოს მის მიერ 1926 წ. აპრილის 3-ის თარიღით გამოცემული განმარტება (ა/კსფსრ კან. კრ. 1926 წ., № 4, მუხ. 624), იმის აღნიშნვით, რომ შემფასებელ-საკონფლიქტო კომისიის გამგებლობიდან გამორიცხულია არა მარტო კატასტროფების შესახებ აღძრული საქმეები არამედ ამა დადგენილების 1-ლ მუხ. გათვალისწინებულ შემთხვევათა შესახებაც აღძრული საქმეები და აგრეთვე აღნიშნოს ის შემთხვევანი, როდესაც საგზაო კომისიაში სათანადო გადაწყვეტილების გამოტანის დროს უმცირესობაში დარჩენილ წევრს შეუძლიან საკითხი ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატში გადაიტანოს.

ამიერკავკასიის ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თამჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**

ამიერკავკასიის ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ა. შავერდოვი.**

ტფილისი-სასახლე. 1917 წ. იანვრის 31.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა-“ს 1398 №-ში 1927 წ. თებერვლის 8-ს

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 4 აპსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

34. ა/კსფსრ ტერიტორიაზე ელექტრონის მრიცხველთა შემოწმებისა და დადაღვის შესახებ.

ა/კსფსრ-ში ელექტრონის ენერგიის სისწორით აღრიცხვის უზრუნველყოფის მიზნით და თანახმად სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მიერ 1924 წ. ივნისის 6-ს დამტკიცებული ზომა-წონის დებულების მე-6 მუხლისა (სსრკ კაკისა, სახკომსაბჭოს და ზრომის და თავდაცვის საბჭოს მოამბე, 1924 წ., № 6, მუხ. 202). და ამიერკავკასიის ზომა-წონის პალატისა და ადგილობრივ შემმოწმებელი პალატის დებულებისა (ა/კსფსრ კან. კრ. 1925 წ., № 8, მუხ. 483 და 487), ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. ყველა ელექტრონის მრიცხველი, რომელიც გამოიყენება ელექტრონის ენერგიის მომხმარებელსა და მიმწოდებელს შორის ანგარიშის გასასწორებლად, აუცილებლად შემოწმებულ და დადაღულ უნდა იქნეს სათანადო შემმოწმებელ პალატის მიერ ყოველ 3 წელიწადში ერთხელ.

2. ელექტრონის მრიცხველთა შემოწმება და დადაღვა სწარმოებს ამიერკავკასიის ზომა-წონის პალატის ინსტრუქციების საფუძველზე, რაც შემუშავდება თანახმად ზომა-წონის მთავარი პალატისათვის სსრ კავშირის სმუს-ის წესებისა და ინსტრუქციებისა, და რაც განსაზღვრავს როგორც შემოწმებისა და დადაღვის წესს, ისე იმ სახის მრიცხველებს, რომლებსაც ამოწმებს ა/კსფსრ-ის შემმოწმებელი პალატა.

3. ელექტრონის მრიცხველთა სავალდებულო შემოწმება აზერბაიჯანის სს რესპუბლიკაში შემოღებულ იქნეს დღიდან ამ დადგენილების გამოცემისა, ხოლო საქართველოს სს რესპუბლიკასა და სომხეთის სს რესპუბლიკაში — დღიდან ამ რესპუბლიკების შემმოწმებელ პალატებში სათანადო ელექტრო-ლაბორატორიების მოწყობისა, იმ ვადაზე, რასაც დააწესებს ამიერკავკასიის ზომა-წონის პალატა, ხოლო არა უგვიანეს 1928 წლის იანვრის 1-სა.

4. ყველა საწარმო, უწყება, სახელმწიფო, საზოგადოებრივი და კერძო ორგანიზაცია და აგრეთვე კერძო პირი, რომელსაც ელექტრონის მრიცხველი აქვს, ვალდებულია წარადგინოს იგი სათანადო შემმოწმებელ პალატასა ან მის განყოფილებაში შემოწმებისა და დადაღვისათვის, თანახმად ამ უკანასკნელთა მიერ გამოქვეყნებულ განცხადებისა და შეტყობინებისა.

5. განსაკუთრებულ შემთხვევაში, სათანადო შემმოწმებელ პალატასთან წინასწარი შეთანხმებით, ელექტრონის მრიცხველი შეიძლება შემოწმებულ და დადაღულ იქნეს იმ ადგილზედაც, სადაც იგი სდგას.

6. სახელმწიფო, საზოგადოებრივი და კერძო ორგანიზაცია და საწარმო, რომელიც ა/კსფსრ-ის ფარგლებში ეწევა ელექტრონის მრიცხველის ვაჭრობას, მის გაწმენდასა და რემონტსა, შეუძლიან გამოუშვას იგი მხოლოდ სთანადო დაღის დასმის შემდეგ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

7. მრიცხველის შემოწმება და დადაღვა 3 დღე-ღამეზე მეტ ხანს არ უნდა გაგრძელდეს; ამასთანავე სასყიდელი ელექტრონის ენერგიის სარგებლობისათვის იმ დროის განმავლობაში, როკა მრიცხველის შემოწმება და დადაღვა სწარმოებს, დაწესდება უკანასკნელი თვის საშუალო დღე-ღამის ანგარიშის მიხედვით.

8. გამოსაღები ელექტრონის მრიცხველის შემოწმებისა და დადაღვისათვის დაწესდება ა/კსფსრ უმაღლესი ეკონომიური საბჭოს მიერ დამტკიცებული ნიხრის მიხედვით.

ა/კსფსრ სახალხო კომისარათა
საბჭოს თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**
ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველი **სოკოლოვკი.**

ტფილისი-სასახლე. 1927 წ. იანვრის 27.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“ს 1398 № ში 1927 თებერვლის 8 ს.

ცირკულიარი ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

35. ამიერკავკასიის რკინის გზებზე ტვირთის გადაზიდვის შესახებ.

1927 წ. თებერვლის 4.

რკინის გზის ტრანსპორტის მუშაობის განსაკუთრებულად გაძლიერებისა და სახელმწიფო დაწესებულებებისა და ორგანიზაციებისა საჭიროებათა რკინის-გზის გამტარებლობითი უნარიანობასთან შესათანხმებლად, გადასახიდი ტვირთის თავის დროზე და სისწორით გამორკვევის აუცილებლობის გამო მოწყობილ იქნა ტვირთის გადაზიდვის მომწესრიგებელი კომიტეტი, რომლის შედგენილობაში, რკინის გზის სამსახურის წარმომადგენელების გარდა, შედიან დაინტერესებული სახელმწიფო დაწესებულებებისა და ორგანიზაციების წარმომადგენლები.

მიუხედავად ამისა, სახელმწიფო დაწესებულებანი და ორგანიზაციები სისტემატაურად ჰგზავნიან ხოლმე გადასაზიდად ა/კსფსრ-ის სხვადასხვა ადგილას, განსაკუთრებით ფოთისა და ბაათომის ნავთსაგდურებში, აუარებელ ისეთ ტვირთს, რაც გათვალისწინებული არ არის ტვირთის გადაზიდვის გეგმით.

ამ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება რკინის გზას არავითარ შემთხვევაში არ შეუძლიან, რადგან იგი სრული დატვირთვით მუშაობს გადაზიდვის მომწესრიგებელი კომიტეტის მიერ წინასწარი ერთი თვისათვის შემუშავებული გეგმით, რომლითაც უმეტ-ნაკლებოდ განსაზღვრულია იმ ვაგონების რიცხვი, რაც მიწოდებულ უნდა იქნეს სხვადასხვა სადგურზე ამა თუ იმ კლიენტისათვის.

ამას გარდა, გადაზიდვის მომწესრიგებელი კომიტეტის კატეგორიული მოთხოვნის წინაალმდეგ, რომ ისეთი ტვირთის გადასაზიდათ, როგორიცაა შეშა და სხვ. ამგვარი რამ, რკინის-გზის მოძრაკი შედგენილობა გამოყენებულ იქნეს ზაფხულობით, დაწესებულებანი და ორგანიზაციები სხოვენ რკინის გზას ასეთი ტვირთის გადაზიდვას შემოდგომასა და ზამთარში, როცა რკინის გზაზე გაძლიერებული მუშაობა სწარმოებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახალხო კომისართა საბჭო მიაქცევს ზემოაღნიშნულ გარემოებას იმ სახელმწიფო დაწესებულებათა და ორგანიზაციათა ყურადღებას, რომელნიც რკინის გზის კლიენტები არიან, და წინადადებას აძლევს მათ, რომ თავიანთი ტვირთის გადაზიდვის შესახებ აცნობონ გადაზიდვის მომწესრიგებელ კომიტეტს თავის დროზე, ერთი თვით ადრე მაინც.

ამ ცირკულიარის გამოცემის შემდეგ არავითარი საჩივარი ამიერკავკასიის რკინის გზებზე ტვირთის არაწესიერი გადაზიდვის შესახებ მხედველობაში არ მიიღება, რაკი ეს გადაზიდვა არ იყო გათვალისწინებული გეგმით და მთელი პასუხისმგებლობა საქმის უგულგმო და უყაირათო წარმოებისათვის მთლად რკინის გზის კლიენტურას დაეკისრება.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარის მაგ. **დ. ჰუსეინოვი.**

სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ნ. სოკოლოვსკი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა-"ს 1398 №-ში 1927 თებერვლის 8-ს.

ცირკულიარი № 3 ამიერკავკასიის შრომის სახალხო კომისარიატისა.

36. ამიერკავკასიის დამზღვევ ორგანოთა ფინანსიური მოქმედების მოსაწესრიგებლად საჭირო ღონისძიებათა შესახებ.

1927 წ. თებერვლის 5.

ამიერკავკასიაში სოცდაზღვევის საერთო ბიუჯეტის წინასწარმა ცნობებმა 1926-27 წლისთვის დეფიციტი გვიჩვენა. ამის უმთავრესი მიზეზია: ა) დამზღვევი ორგანოების მიერ დამზღვეველთაგან დაზღვევის ანარიცხების მუდმივი დანაკლისით აკრეფა და ბ) დაზღვევის გადასახადის შემცირებული ტარიფი (განსაკუთრებით საქართველოში) სსრ კავშირში დაწესებულ და მომქმედ სოცდაზღვევის გადასახადის ტარიფთან შედარებით.

ამის გამო, ამიერკავკასიის შრომის სახალხო კომისარიატი და ა/კ. შრომის სახკომთან არსებული სოციალური დაზღვევის მთავარი სამმართველო, სცდილობენ რა ამიერკავკასიის სოცდაზღვევის ბიუჯეტი უდეფიციტო გახადონ და ამავე დროს, ისახავენ რა მიზნად, რომ დაზღვევის ორგანოებმა თავის დროზე შეასრულონ სოციალური დაზღვევის კანონმდებლობიდან გამომდინარე ვალდებულებანი დაზღვეულ მშრომელთა მასის წინაშე, წინადადებას იძლევიან ზედმიწევნით და დაუყოვნებლივ შესრულებულ იქნეს შემდეგი ღონისძიებანი:

1. გამოყენებულ იქნეს ყველა კანონიერი უფლება ძველი ვალების გადასახდევინებლად, რაც დაზღვეულებზე ირიცხება;

ეროვნული ბიბლიოთეკა

2) მიღებულ იქნეს ენერგიული ღონისძიება, რათა ახალი დავალიანება შეუძლებელი გახდეს;

3) დაუყოვნებლივ შემოწმებულ და მიღებულ იქნეს დამზღვეველთათვის დაზღვევის გადასახადის სრულიად საკავშირო ტარიფი;

4) იმ რესპუბლიკებში, სადაც შემოღებულია სრულიად საკავშირო კანონდებულებით დაწესებულ ტარიფზე უფრო მცირე სოცდაზღვევის გადასახადის ტარიფი და რაც ხელისუფლების საოლქო ორგანოების მიერ დადასტურებული არ არის, დაუყოვნებლივ გაუქმდეს და შემოღებულ იქნეს გადასახადების კანონიერი ტარიფი;

5) განმეორებით დადასტურებულია, რათა სისწორით იქნეს აღსრულებული ა/კ. შრომის სახალხო კომისარიატისა და ა/კ. შრომის სახკომთან არსებული სოცდაზღვევის მთავარი სამმართველოს, მიერ გამოცემული ცირკულიარები „ეკონომის რეჟიმის შესახებ“ და სხვ., საორგანიზაციო ხარჯების შესამცირებლად და ავადმყოფობის სიმულაცის წინააღმდეგ საბრძოლველად მთელ რიგ ღონისძიებათა მიღების შესახებ და სარევიზიო კომისიების მუშაობის გამოცხლების შესახებ;

6) არავითარ შემთხვევაში არ იქნეს გაწეული ა/კ. შრომის სახკომთან არსებული სოცდაზღვევის მთავარი სამმართველოს მიერ მიმდინარე რემონტისა და დასასვენებელი სახლების მოწყობის დასამთავრებლად ნებადართულ თანხაზე მეტი ხარჯი;

7) ყოველგვარი მიღწევის შესახებ ამ დირექტივების შესრულების საქმეში ყოველთვიურად წარუდგინეთ ხოლმე სასწრაფო ცნობები ა/კ. შრომის სახკომთან არსებულ სოცდაზღვევის მთავარ სამმართველოს;

8) ამიერკავკასიის ფედერაციაში შემავალი რესპუბლიკების შრომის სახალხო კომისარიატებს წინადადება ეძლევათ მტკიცედ ადევნონ თვალყური ამა ცირკულიარის შესრულებას.

ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარი **იაშვილი**

სოციალური დაზღვევის მთავარი სამართველოს
უფროსის მაგიერ **ევანგულოვი.**

ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატის
საერთო-საორგანიზ. განყ. გამგე **მელნიკოვი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 1398 №-ში 1927 წ. თებერვლის 8-ს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 41|119 აკსუსრ შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატისა.

37. ადგილობრივი წარმოების საპნის უკიდურესი საგასაცემო საბითუმო და ცალობითი ფასების შესახებ.

(მოწესრიგების სამმართველო).

1927 წ. თებერვლის 2.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მიერ „შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატის დროებითი დებულების შესახებ“ 1924 წ. ივნისის 26-ის თარიღით გამოცემული დადგენილების მე-3 მუხლის „გ“ პუნქტის საფუძველზე ა/კ. შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატი ადგენს:

§ 1. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულის სამმართველოებს საქართველოს სსრ-ში, სომხეთის სსრ-ში და აზერბაიჯანის სსრ-ში, ორი კვირის ვადაზე ამა დადგენილების გამოქვეყნების დღიდან, დაიწესონ სათანადო დადგენილებით უკიდურესი საგასაცემო საბითუმო და ცალობითი ფასები ადგილობრივი წარმოების ყველა ხარისხის სამეურნეო საპონზე ყველა სახელმწიფო და კოოპერატიული ორგანიზაციის მიერ გაცემისათვის.

§ 2. დაწესებულ იქნეს ყველა ადგილობრივ სახელმწიფო და კოოპერატიულ საპნის ქარხანისათვის ყველა ხარისხის სამეურნეო საპონზე ქარხნის საწყობიდან მათი ბითუმად გაცემის დროს უკიდურესი წანამატი არა უმეტეს თვითღირებულების 8%-სა ფრანკო-ქარხანა.

§ 3. დაწესებულ იქნეს უკიდურესი წანამატი კოოპერატიულ და სახელმწიფო საეპრო ორგანიზაციების მიერ როგორც ადგილობრივი წარმოების, ისე შემოტანილი სამეურნეო საპნის ცალობით გაყიდვისათვის იმ ადგილებში, სადაც ქარხანა ან ბითუმად გაცემის პუნქტია, შემდეგი რაოდენობით: ნაპერ საპონზე—15% და ძელურზე—18% საბითუმო საგასაცემო ფასისა ფრანკო-ქარხნის საწყობი ადგილობრივი წარმოების საპნისათვის, ან შემომზიდველი ორგანიზაციების საბითუმო საგასაცემო ფასებისა.

§ 4. დადგენილება ესე ძალაში შევა და ამიერკავკასიის შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატის მიერ „ადგილობრივი წარმოების საპნის უკიდურესი ფასების შესახებ“ 1926 წ. აპრილის 10-ის თარიღით და 17/73 №-ით გამოცემული დადგენილება გაუქმდება ამიერკავკასიის შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულთა სამმართველოების მიერ (საქართველოსა, სომხეთსა და აზერბაიჯანში) სათანადო დადგენილებათა გამოცემის დღიდან.

ამიერკავკასიის შინა-ვაჭრობის სახალხო
კომისრის მაგიერ **ათაბეკოვი.**

მოწესრიგების განყოფილების უფროსი **ნოვიკოვი**

საქმეთა მმართველი **ჩაკერტი**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 1398 №-ში 1927 წ. თებერვლის 8-ს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და აკსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

38. რკინი გზის მუშა-მოსამსახურეთათვის მოწყობილ პუნქტებზე საწვევამდედო და ჯარგარეშე მომზადების ხარჯების შესახებ.

სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს მიერ „ადგილობრივი ფინანსების დებულების (გამოცემულია 1926 წ. აპრილის 25-ს) 21 მუხლის დამატების შესახებ“ 1927 წ. იანვრის 7-ის თარიღით გამოცემული დადგენილების (სსრკ კან. კრ., 1926 წ., № 31, მუხ. 199) საფუძველზე, ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ: ა/კსფსრ-ში მომქმედ 1926 წ. აგვისტოს 8-ს თარიღით გამოცემული ადგილობრივი ფინანსების დებულების (ა/კსფსრ კან. კრ. 1926 წ. მე-8-რი, მუხ. 697) მე-20 მუხლს დამატატ მე-4 შენიშვნა შემდეგი შინაარსისა: „შენიშვნა 4. ამა მუხლის „ბ“ პუნქტში გათვალისწინებული ხარჯები რკინის გზის მუშა-მოსამსახურეთათვის მოწყობილ პუნქტებზე საწვევამდედო და ჯარგარეშე მოსამზადებლად—მიეკუთვნება საერთო საკავშირო ბიუჯეტს“

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი **ა. შავერდოვი.**

ტფილისი—სასახლე. 1927 წ. იანვრის 31.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 1401 №-ში 1927 წ. თებერვლის 11-ს.

დადგენილება № 15 ამიერკავკასიის შრომის სახალხო კომისარიატისა.

39. მარტის 8-ას ქალთა სამუშაო დღის ხანგრძლივობის შესახებ.

1927 წ. თებერვლის 14.

ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატი ადგენს: შემოღებულ იქნეს სამომქმედოდ ა/კსფსრ-ის ტერიტორიაზე სსრკ შრომის სახალხო კომისარიატის მიერ „მარტის 8-ას ქალთა სამუშაო დღის ხანგრძლივობის შესახებ“ 1926 წ. თებერვლის 27-ს თარიღითა და 48-5 №-ით გამოცემული დადგენილება.

ა/კსფსრ შრომის სახალხო
კომისრის მაგიერ **გოდაბრელიძე.**

ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატის
საერთო-საორგ. განყ. გამგე **მელნიკოვი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 48-5 სსრ კავშირის შრომის სახალხო კომისარიატისა.

მარტის 8-ის ქალთა სამუშაო დღის ხანგრძლივობის შესახებ.

1926 წ. თებერვლის 27.

მოკავშირე რესპუბლიკათა შრომის სახალხო კომისარიატებს.

სსრ კავშირის შრომის სახალხო კომისარიატი ადგენს:

1. მუშა-ქალთა საერთაშორისო დღეს (მარტის 8-ს) ქალები ყოველწლიურად განთავისუფლდებიან მუშაობისაგან ყველა საწარმოსა, დაწესებულებისა და მეურნეობაში ორი საათით ადრე ჩვეულებრივ ვადამდე.

2. იმ საწარმოსა, დაწესებულებასა და მეურნეობაში, სადაც ქალები უმრავლესობას შეადგენენ, და მათი მუშაობის შეწყვეტა გამოიწვევს მთელი დაწესებულებისა, საწარმოს ან მეურნეობის მუშაობის შეჩერებას, ამ უკანასკნელის მუშაობა შეწყდება ორი საათით ადრე.

3. საზოგადოებრივ საქმირო საწარმოში, როგორიცაა: ტელეგრაფი, ტელეფონი, საავადმყოფო, ტრანსპორტი, საზოგადოებრივი სასადილოები და სხვ., მუშა-ქალები მუშაობისაგან არ განთავისუფლდებიან და მათ სასყიდელი ჩვეულებრივი რაოდენობით მიეცემათ.

4. იმ მუშებსა და მუშა-ქალებს, რომელთაც სასყიდელი ნაჭრობით ან დღიურად ეძლევათ, და რომელნიც მარტის 8-ს არა სრულ სამუშაო დღეს იმუშავებენ, სასყიდელი მიეცემათ 2 საათისათვის მათი სატარიფო განაკვეთის მიხედვით, ხოლო მათ, ვინც სასყიდელს თვიურად იღებს, ხელფასიდან არაფერი დაეპირებათ.

შრომის სახალხო კომისარი შმიდტი.

შეთანხმებულია საკავშირო პროფკავშირთა ცენტრ. საბჭოსთან—**დოგადოვი**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 1404 №-ში 1927 წ. თებერვლის 15-ს.

ტფილისი ს. ს. მ. უ. ს. პოლიგრაფტრესტის I-ლი სტამბა. პლეხან. პრ. № 91.

22/III—27 შეკ. № 716/5091. მთავარლიტ № 529. დაიბეჭდა 1000.